ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 113

(მომსახურების შესყიდვა)

ქალაქი ფოთი **„25"** მაისი, 2022 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთი მხრივ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი (შემდეგში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის, მერის პირველი მოადგილის დავით კვიციანის სახით და მეორე მხრივ, შპს „არმანა" (შემდეგში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ბესიკ ძანძავას სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის, „ვ" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N 13 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმის განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება").

2, შესყიდვის ობიექტის დასახელება და შესაბამისი CPV კოდი

2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს სტუმრების კვებით მომსახურების შესყიდვა.

2.2 კლასიფიკატორის დანაყოფი და კლასიფიკატორის (CPV) კოდი: 55300000 - რესტორნებისა და კვების საწარმოების მომსახურებები, 55330000 - კაფეტერიის/სასადილოს მომსახურება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს 1110.90 (ერთიათასასათი ლარი და 90 თეთრი) ლარს.

3.2 ხელშეკრულება მოიცავს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

3.3 დაფინანსების წყარო - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები.

4. მომსახურების გაწევის ვადა, ფორმა და ადგილი

4.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება 2022 წლის 26 მაისს.

4.2 მომსახურების გაწევის ფორმა: მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

4.3 მომსახურების გაწევის ადგილი: ქალაქი ფოთი, მერაბ კოსტავას ქუჩა N200.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების (გადარიცხვა) ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ლარი.

5.2. ანგარისწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესასაბამისი საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში) გამოწერისა და გაწეული მომსახურების შესაბამისად, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მიღება - ჩაბარების წესი

6.1 შემსყიდველის მხრიდან, მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ, უფლებამოსილ პირს წარმოადგენს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, რომელიც ხელს აწერს ქალაქ ფოთის მუნციპალიტეტის სახელით დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების მიღება-ჩაბარების აქტებსა და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელს აწერს სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

6.2 მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

7.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

8.1.1 გასაწევი ან/და გაწეული მომსახურების და მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

8.1.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:
8.2.1 უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
8.3 მიმწოდებელი ვალდებულია:
8.3.1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
8.3.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა
9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების თავდაპირველი ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
9.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
10.1 ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება და მოითხოვოს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია გადაუხადოს შემსყიდველს ჯარიმა, შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი თანხის 10%-ის ოდენობით.
10.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში
შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს საჯარიმო თანხის გადახდა, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით.
10.3 საჯარიმო სანქციების გადახდა უნდა მოხდეს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
10.4 წინამდებარე ხელშეკრულების მოცემული პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.
10.5 პასუხისმგებლობის სხვა ფორმები, რაც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებაში, განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

11. დაუძლეველი ძალა
11.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
11.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი მხარე არ თავისუფლდება ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან.
11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული გარემოებების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. სხვა პირობები
13.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, ,,ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით, რომელთაგან თითოეული მხარის ელექტრონული ვერსია ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთ ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.

13.2 მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის წერილობითი ურთიერთობა ხორციელდება, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით, მათ შორის, მხარეთა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით.
13.3 საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

,,შემსყიდველი''

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი
ს/კ N 215138143,
ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 12

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის
შემსრულებელი, მერის პირველი მოადგილე
დავით კვიციანი

David Kvitsiani
Digitally signed by David Kvitsiani
Date: 2022.05.25 23:53:42 +04'00'

,,მიმწოდებელი''

შპს ,,არმანა"
ს/კ N 415098520,
ფაქტ.მის: ქალაქი ფოთი, მერაბ კოსტავას ქუჩა N 200
სს ,,საქართველოს ბანკი", ბ/კ BAGAGE22,
ა/ა GE 95 BG 0000000209548200
დირექტორი
ბესიკ ძანძავა

Besik Dzandzava 62001005382
Digitally signed by Besik Dzandzava
Date: 2022.05.25 23:19:02

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქალაქი ფოთი **,,25"** მაისი, 2022 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი, მერის პირველი მოადგილე დავით კვიციანი ვადასტურებ, რომ შპს ,,არმანა"-სთან არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის
შემსრულებელი, მერის პირველი მოადგილე
დავით კვიციანი

David Kvitsiani Digitally signed by David Kvitsiani Date: 2022.05.25 23:57:49 +04'00'